შაბათი 1919 წ. იანვრის 25 № 19

წელიწადი მეხუთე

შაბათი 1919 წ. იანვრის 25 № 19

ფასი თბილისში კროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გულმოკლულნი მეუღლე ნინო მათეს ასული და შვილი მიხეილ კირილეს ძე ჯაჭვაძენი, თამარ და გრიგოლ კვარაიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, მეორე საყვარელი და დაუვიწყარი მამის და უკანასკნელისა დაუვიწყარი სიმამრის

კირილე ანდრიას ძე

ჯაჭვაძეს

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გამოსვენება კვირას, 26 იანვარს, საკუთარ ბინიდგან (ნახალოვკა) პარკოვის ქუჩა № 27 წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დასაფლავება მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზედ.

2—2040—1

უბედური ბიძა ივანე პეტრეს ძე და ძალო თამარ ნიკოლოზის ასული ეპიტაშვილები, დედიდები სალომე ნელიუშოვისა ქმრით და შვილით, მარიამ მოლოდინაშვილისა შვილებით, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი შვილებით და სოფიო ეპიტაშვილის ასული აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას საყვარელ და დაუვიწყარ მათ დისწულის

ალექსანდრე (საშა) სოლომონის ძის

ჯაფარიძისას

გამოსვენება მიცვალებულის საკუთარ სახლიდან ბაგრატიონის ქუჩა № 17 კვირას, 26 იანვარს, დილის 10 საათზე ანჩისხატის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე.

2—2046—1

ღრმად დამწუხრებულნი ჭირისუფალნი, ძმები: ამბაკო და ბეგლარ მიხეილის ძენი; რძლები: თეო შიოს ასული და ივდითი ნიკოლოზის ასული; ძმისწულები: შუშანიკა ამბაკოს ასული, ელენა, თამარა და მიშა ბეგლარის ძე და ასულნი ქართველიშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი კვირას 26 იანვარს (ახ. სტ.) განსვენებულის

ალექსი მიხეილის ძის და ელპიდი გიორგის ასულის

ქართველიშვილებისა

სულის მოსახსენებლად. ქ. სამტრედიაში წმ. გიორგის ეკლესიაში.

1—2039—1

ღრმად დამწუხრებული ქმარი იოაკიმე ალექსის ძე ბურუსიძე და შვილი გიგოლა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხვალ კვირას, 26 იანვარს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე იქნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის და დაუვიწყარის

ნადეჟდა ლ ზასეს ასულის ბურუსიძის

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. პანაშვიდი შემდეგ.

1 2044 1

ღრმად დამწუხრებულნი მამა დიმიტრი, დედა ნინო, ძმები გიგლო, ვასილი და გიორგი, რძალი ეფემია და ბიძაშვილები შალვა და ვანო ზედგინიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, შაბათს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარლის

ირაკლი დიმიტრის ძე

ზედგინიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება ათ საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ.

1—2045—1

სურამში გარდაიცვალა

ილია ზურაბის ძე ხურვანიშვილი

რასაც ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულ-დათუთქული მეუღლე მატრონა, შვილები: მიხეილ, ივანე და დარო, რძლები: ბარბარე, გაიანე და ლუბა შვილებითურთ.

დასაფლავება მოხდება კვირას, 26 იანვარს (ახალი დრ.) ქ. სურამში ღვთაების ეკლესიის გალავანში.

1—2043—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დავით ვასილის ძე და ლიუდმილა ედუარდის ასული შვილებით: ელისაბედ, ალექსანდრა, ვასილ, ნიკოლოზ, ეროთეოზ და დავითი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 26 იანვარს გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ შვილისა პირველთა და დისა უკანასკნელთა

ლიუდმილა სიდამონ-ერისთავისა

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი წირვის შემდეგ გარდაცვალებულის საფლავზე.

1—2041—1

## ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

1919 წელ. | წელიწადი მეხუთე | 1919 წელ.

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

რომანი „ტრფობა წამებული“ რომანი

გაზეთის ფასი:

წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო“. ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

შაბათს, 25 იანვარს ბალეტის ბენეფისი შაბათს, 25 იანვარს

1. სოფლის პატიოსნება

მონაწილეობენ: ალეშკო, იანსა, მარკოვი და ინაშვილი.

2. გრძნეული სალამური

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კვირას, 26 იანვარს, დილით—„შვიდი ციკანი“, „წითელი ქუდი“ და „ქორწილი უკრაინაში“; საღამოთი ა. ა. გურესის ბენეფისი „ჰოფმანის ზღაპრები“.

შაბათს, 25 იანვარს საღამოს სრულ 6 საათზე

სამეურნეო ბანკის შენობაში დანიშნულია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

მეორე და მესამე საკომისარო უბნის მცხოვრებთა

საზოგადო კრება

მოხსენებას არჩევნების შესახებ წაიკითხავენ:

გ. გვაზავა,

პ. გოთუა და

1—1 ლ. ჯაფარიძე

კვირას, 26 იანვარს საღამოს 5 საათზე,

ხარფუხის კლუბის დარბაზში დანიშნულია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

მეათე და მეთორმეტე საკომისარო უბნის მცხოვრებთა

საზოგადო კრება

მოხსენებას არჩევნების შესახებ წაიკითხავენ:

გ. გვაზავა,

პ. გოთუა და

2—1 ლ. ჯაფარიძე

ორშაბათს, 27 იანვარს, საღამოს 5 საათზე

მესამე სასამართლო განყოფილებაში დანიშნულია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

მესამე და მეცხრე საკომისიო უბნის მცხოვრებთა

საზოგადო კრება

მოხსენებას არჩევნების შესახებ წაიკითხავენ:

გ. გვაზავა,

პ. გოთუა და

2—1 ლ. ჯაფარიძე

## რუსები საქართველოს წინააღმდეგ

საქართველოს დამფუძნებელ კრებისთვის დაიწყო მზადება. ყოფილ რუსეთის იმპერიაში ეს პირველი მაგალითია, როცა სახელმწიფოებრივი ნებისყოფა ერის შესაფერ უფლებრივ ფორმას იღებს, ის დემოკრატიული წესრიგი და სახელმწიფოებრივი შეგნება, რომელიც ახასიათებს საქართველოს წარსულში დღესაც გამოყოფს მას სხვა ახლად შეჰქმნილ სახელმწიფოებისგან და ჩვენი რესპუბლიკის მომავალს იმედით ანათებს.

ჩვენმა მტრებმა იგრძნეს კიდეც რომ საქართველო საუკუნოთ უნდა დადგინდეს სახელმწიფოთ და მიტომ განაახლეს იერიშები.

სომხების ომი გათავდა—სომხების დამარცხებით, როგორც ბრძოლის ველზე, ისე დიპლომატიურ კაბინეტში, ამით ჩვენ დამოუკიდებლობას ერთი მტერი ჩამოშორდა, თუმცა გამარჯვება ვერ იქნა სათანადოთ გამოყენებული და დაშნაკელებს კიდევ ბევრი შხამი დარჩათ დასანთხევათ საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოს სანაპიროებზეც გამოჩნდნენ მტრები. არტაანიდან მოდის იქ დარჩენილ დამარცხებულ ასკერების ბრბოები ცნობილ ხალილ-ბეის ხელმძღვანელობით, რომ ანარქია და რბევა შეიტანოს საქართველოს სამაჰმადიანო პროვინციებში.

მთავრობამ გაჰგზავნა კიდეც მათ წინააღმდეგ ჯარების ნაწილები, ამის გარდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბრიტანიის ჯარების მთავარსარდალმა აღმოსავლეთში გენერალმა მილმა მისცა გარანტიები, რომ ალაგმული იქნება ოსმალების ასეთი თავხედობა.

ბევრი სხვა გამოსვლებია კიდევ მოსალოდნელი საქართველოს წინააღმდეგ მაგრამ ყველაზე უფრო გაფთრებით მაინც რუსები იბრძვიან. დანამდვილებით დამტკიცებული ფაქტია, რომ სომხების ჯარებს ხელმძღვანელობდენ რუსი ოფიცრები, აგრეთვე ისიც, რომ ჰდროსა და გენერალ დენიკინს შორის კავშირი იყო, რუსები ეხლაც განაგრძობენ თავდასხმას საქართველოზე და ყოველ ღონისძიებით ებრძვიან ჩვენს რესპუბლიკას.

რუსების სოციალისტ-რევოლიუციონერთა საოლქო კომიტეტმა უკანასკნელ სხდომაზე ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რეზოლუცია, რომელიც გამოუტანია ამის შესახებ ამ პარტიას შეურაცმყოფელია საქართველოს ეროვნულ ღირსების; მართალია ეს პარტია შესდგება შტატ-გარეშე დატოვებულ მოხელეებისგან და შოვინისტებიდან, მაგრამ შეუძლებელია მაინც მისი პასუხისგების გარეშე დაყენება და ერთხელაც არის ბოლო უნდა მოეღოს ამ ხალხის თავგასულობას.

რუსების მტრული მოქმედება იქამდისაც მივიდა, რომ სოხუმში მთელი შეთქმულება აღმოჩნდა რუსის მონარქისტებისა. შეთქმულთა მიზანი იყო ყოფილ რუსეთის სამეფო ტახტის აღდგენა და ამისათვის გამოუნახავთ კიდეც ლეიხტენბერგის ჰერცოგი, როგორც ტახტის პრეტენდენტი.

როგორც გამოირკვა შეთქმულებას ბევრი ქსელები ჰქონიათ გაბმული და მათ განზრახვას შეიძლებოდა მართლა რეალური შედეგი მოჰყოლოდა. როგორც სოხუმის საგანგებო კომისარი იტყობინება, შეთქმულები დაუპატიმრებია კიდეც და ამით რესპუბლიკას ასცდა საფრთხეც, მაგრამ არ არის გარანტიები რომ ხელმეორეთ არ გაიმეორებენ რუსები ასეთ საქციელს.

მთავრობამ უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება რუსების მოქმედებას, რადგან ლმობიერათ მოპყრობა და მეტი პატივისცემა უფრო ათამამებს ამ ხალხს და ზედმეტ ენერგიას აძლევს საქართველოსთან ბრძოლაში—საქართველო არ დაივიწყებს რუსების ასეთ მტრულ განწყობილებას, მაგრამ საქართველოს ბრძოლა თავისუფლებისთვის მაინც გამარჯვებით გათავდება.

# უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეებმა პოლონეთის მთავრობათ იცნეს პილსუდსკის მთავრობა.

გერმანიის ეროვნული კრილობა შესდგება 6 თებერვალს.

ეკატერინოდარში გამოცხადდა ყაზახების მობილიზაცია.

საქართველოს რკინის გზებზე სამხედრო წესები მოიხსნა.

ბაქოდან კერძო პირებს ნავთის ჩამოტანის ნება მიეცათ.

## საქართველოს მოქალაქეთა მიმართ

საქართველოს ნორჩმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობათ მიიღო ცარიელი ხაზინა და საშინელი ფინანსიური მდგომარეობა.

ამავე დროს იმ მრავალ არა ჩვეულებრივ ხარჯების გარდა, რომელიც დაგვჭირდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობათ რესპუბლიკაში, ჩვენ გადასახადათ დაგვაწვა რუსეთის ფრონტისა და დაწესებულებათა ლიკვიდაციით გამოწვეული აუარებელი ხარჯებიც.

ანარქიასთან ბრძოლა კი დიდხანს გვიშლიდა ხელს ისე მაგრად შევსდგომოდით გადასახადების მოკრეფას, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი და თუმცა ამ უკანასკნელ დროს შემოსავალმა იმატა, ჩვეულებრივი გადასახადები მაინც ვერ დაფარავენ ყველა არა ჩვეულებრივ ხარჯებს.

შემუშავებულია პარლამენტის მიერ მიღებული მთელი რიგი კანონ-პროექტისა სახელმწიფოს შემოსავალის გასაძლიერებლად, მაგრამ ყველა ამ კანონების ცხოვრებაში გატარება საკმაო დროს მოითხოვს.

სახელმწიფოს საჭიროებანი კი დაუყოვნებლივ მოითხოვენ დაკმაყოფილებას. სხვა არა-ჩვეულებრივ მოთხოვნილებათ, რომ თავი გავანებოთ, ადვილი წარმოსადგენია, რა ფული დაუჯდებათ რესპუბლიკას ლიკვიდაცია ომით გამოწვეულ ხარჯებისა.

ამიტომ საჭიროა დროებით, სანამ გადასახადები შემოვიდოდეს სესხის საშუალებით ხაზინის გამაგრება, ხოლო აქაც ჩვენ საკუთარ თავის, სამშობლოს ერთგულ მოქალაქეთა იმედი უნდა გვქონდეს.

ამ განზრახვით დაადგინა პარლამენტის სახაზინო ვალდებულებათა გამოცემა. არ არის ქვეყანაზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც არა-ჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, სესხს არ მიმართავდეს. აღნიშნული სესხი კი თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სესხი.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით, რა რიგ შეღავათიან პირობებში ვგ სესხი, ეგ სახაზინო ვალდებულებანი გამოცემული.

იგი მოკლე-ვადიანია, სახელდობრ ერთი წლის შემდეგ იქნება გადახდილი.

იგი სარგებელს იძლევა 5% და ეს სარგებელიც წინდაწინ ეძლევა ვალდებულების მიმცემს არსებულ სახაზინო გადასახადის გამოუკლებლად.

იგი მიიღება მთავრობის მიერ როგორც საწინდრად ისე სხვადასხვა გადასახადებში ნაღდი ფულის მაგიერ.

ერთი სიტყვით, ვალდებულებანი თავის ღირსებით თითქმის არაფრით განირჩევიან ნაღდი ფულისაგან.

და თუ ასეთი შეღავათიანი პირობები დავუდევით საქართველოს რესპუბლიკის პირველ სესხს საფუძვლად, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქენი ხელს შეუწყობენ სესხის დაუყონებლივ განაღდებას.

საზოგადოების ყოველი კლასი ვალდებულია ამ დიად დროს, როცა მკვიდრდება საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ნივთიერ დახმარებით ხელი შეუწყოს თავის მთავრობას.

ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი, ხალხის ნასდვილნი შვილნი სიცოცხლეს სწირავდენ და სწირავენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობას; ისტორია ავად მოიხსენიებს იმათ, ვისაც შეეძლო და ნივთიერი მსხვერპლიც კი არ გაიღო ამავე დიად დანიშნულებისათვის.

ახლა შემთხვევა ეძლევა შეძლებულ პირებს დაამტკიცონ თავისი მამულისადმი სიყვარული და ერთგულება.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახაზინო ვალი ვალდებულებათ საზოგადოების ფართე წრეებიც შეიძენენ, რადგან ეს ვალდებულებანი ყველასათვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია.

ქალაქის და ერობის თვითმმართველობანი, კოოპერატივები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოვალენი არიან ზნეობრივად ხელი შეუწყონ ამ სესხის სავსებით განაღდებას.

სესხის სავსებით განაღდება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ საქართველო ნდობით ეპყრობა მის დემოკრატიულ მთავრობას და მაჩვენებელი იქნება ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობისა.

მოქალაქენო, ამ სესხის განაღდება თქვენგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, დაამტკიცეთ მამულის სიყვარული საქმით, დაუმტკიცეთ ქვეყანას თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება.

ნუ დარჩება ნურც ერთი მოქალაქე, რომ ვალდებულება არ შეიძინოს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. (1—102—1)

## მთავრობის ცნობები

**ეპიდემიასთან ბრძოლის შესახებ.**

სხვა და სხვა გადამდებ სენთა ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც საშიშ სახეს ღებულობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დანიშნულ იქმნას განსაკუთრებული რწმუნებული; მასთან დაარსდეს სანიტარული სათათბირო შემდგარი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა დაწესებულების წარმომადგენელთაგან.

განსაკუთრებულ რწმუნებულს ემორჩილებოდეს, სანიტარული ნაწილის მხრივ, ყველა უწყებები რესპუბლიკისა, აგრეთვე ყველა დაწესებულებები და ორგანიზაციები, როგორც საზოგადოებრივი, ისევე კერძო ხასიათისა.

განსაკ. რწმუნებულს მიენიჭოს უფლება უწყებული ნაწილის შესახებ გამოსცეს დადგენილებანი სავალდებულო რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთათვის.

განსაკუთრებულ რწმუნებულს ეძლევა უფლება სანიტარულ წესების დარღვევისათვის თავისი ნებით დასაჯოს დამნაშავენი ჯარიმით არა უმეტეს ათი ათასი მანეთისა და ციხეში დაპატიმრებით არა უმეტეს 6 თვის ვადით.

საქართველოს ყველა საექიმო სამინისტრო დაწესებულებებში მოსამსახურენი მოვალენი არიან სავსებით დაუყონებლივ შეასრულონ განსაკუთრებული რწმუნებულის ყველა განკარგულებანი. გაუგებრობისა და დაკისრებულ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი დასჯილნი იქნებიან, განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ, სამსახურიდან დათხოვნით და ციხეში ერთი წლის ვადით დაპატიმრებით.

განსაკუთრებულ რწმუნებულს მიენიჭოს უფლება ეპიდემიის დროს მოახდინოს მობილიზაცია ყველა საექიმო ძალების (ექიმების, ფერშლების, ფარმაცევტების) საქართველოს იმ ქვეშევრდომთა, რომელნიც არ არიან 45 წლისაზე მეტი.

**შენიშვნა:** მოხალისეებად ჩაწერის მსურველნი: ექიმები, ფერშლები, ფარმაცევტები, მოწყალების დები და ძმები არა საქართველოს ქვეშევრდომნი, მიიღებიან სამსახურში თავისუფალ დაქირავებით.

საქართველოს მთავრობა უზრუნველჰყოფს მატერიალურად იმ პირთა, ოჯახებს რომელნიც გადამდებ სენთა ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპებიან ან და დაჰკარგავენ შრომის უნარს.

გადამდებ სენთა ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად განსაკუთრებულ რწმუნებულად (შინაგან საქმეთა სამინისტროსთან) დაინიშნოს ექიმი კოპაძე უფლებით მთავრობისათვის პირადი მოხსენებისა მნიშვნელოვან შემთხვევებში.

განსაკუთრებულ რწმუნებულს დაენიშნოს ჯამაგირი სამი ათასი (3000) მანეთი თვიურად, გარდა ამისა მოგზაურობის დროს, სამსახურის გამო, დღიურ ხარჯების დასაფარავად, ორმოცდა ათი (50) მანეთი დღეში. განსაკუთრებულ რწმუნებულის განკარგულებაში გადაცემულ იქმნას ერთი ავტომობილი.

ექიმებს, სამსახურისა გამო მოგზაურობის დროს, დღიურ ხარჯების დასაფარავად დაენიშნოთ ორმოცი (40) მან. დღეში.

## მთიელთა მთავრობის ახალი კაბინეტი

მთიელთა მთავრობის კავშირის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს რომ, მთიელთა რესპუბლიკის წინა პარლამენტმა დაადგინა ჩერმოევის კაბინეტის გადადგომა და ახალი კაბინეტის შედგენა ნ. კოცევს მიანდო. კაბინეტი შესდგება: თავმჯდომარე პშემახო კოცევი, სამხედრო მინისტრი ნ. ბ. ტარკოვსკი; გარეშე საქმეთა მინისტრი გ. ბაგმატოვი; შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ს. კაპლანოვი; ფინანსთა მინისტრი ვ. გ. ჯაბაგი; ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. მალარიხანი; გზათა მინისტრი გაიდაროვი; განათლების მინისტრი შახსუვაროვი; მიწად-მოქმედების მინისტრად ბუტაევი.

3 პორტფელი იუსტიციისა, შრომისა და სახელმწიფო კონტროლიორის რომელიც, თერგის ყაზახებთ ეკუთვნის თავისუფალი რჩება.

მთავრობის პროგრამა. „ახალი მთავრობა სდგას რა დემოკრატიულ ნიადაგზე, ცდილობს, ბოლშევიკებიდან თავის ტერიტორიის გაწმენდასა და წესრიგის დამყარებას, მეზობელ ხალხთა მიმართ იზიარებს იმ შეხედულებას, რომელსაც ჩერმოევის მთავრობა იზიარებდა. ის მთელ თავის ძალლონეს მოახმარს, რომ ყველა ხალხთან კეთილ-მეგობრობა დაამყაროს“.

## სადაო ადგილების რკინის გზის ჩაბარება.

გზათა მინისტრის ამხანაგმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა გზათა სამინისტროს რწმუნებულ ღვარჩავასაგან სანაინიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო.

„სომეხთა წარმომადგენლები მინისტრ გულიანცის მეთაურობით კვლავ ეწინააღმდეგებიან ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის საქართველოს წარმომადგენელთა მიერ ჩაბარებას. მაგ. დღეს. სად. სანაინის მიღების დროს დამხვდა სადგურის ქონებით დატვირთული 9 ვაგონი, სომხები ქონებას გვაბარებენ, მაგრამ ცარიელი ვაგონების უკან წაღება სურთ. მე პროტესტი განვაცხადე ამის გამო, რადგანაც კონფერენციაზე დადგენილ იყო რომ მოძრავი ქონება რომელიც წინად საქართველოს ეკუთვნოდა და ახლა ნეიტრალურ ზონაშია კვლავ საქართველოს ეკუთვნის. დატვირთული ვაგონების ახალ განკარგულებამდე გაჩერებულია სადგურზე. მიღებულ რკინის გზებზე და სადგურებზე რომელიც ჩვენ ჩავიბარეთ, ჩვენი მოსამსახურენი ჩავაყენეთ. სადგურის შენობების ქონება მიღებულია.

## სომხეთის ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან

21 იანვარს საქარ. მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენ სომეხთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი. მათ სთხოვეს ნება დართონ სომხეთის ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნდნენ. მთავრობის თავმჯდომარემ მათ ორი მატარებელი დაუთმო ლტოლვილთა გადასაყვანად. მათვე სთხოვეს აგრეთვე კავკავში მყოფ ლტოლვილებს დართონ ნება საქართველოზე გადავლისა. მთავრობის თავმჯდომარემ აღუთქვა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში მყოფი ლტოლვილები წავლენ, კავკავის ლტოლვილთაც ნება ექნებათ საქართველოზე გადავლისა.

მთავრობის თავმჯდომარემ აღუთქვა მათ, რომ გენერალ-გუბერნატორის განკარგულება ავჭალის წყალსადენიდან სომხების დათხოვნისა შეცვლილი იქნება.

## ქრონიკა

◆ **ფერეიდანელი ქართველი.** ამ დღეებში სპარსეთიდან მოვიდა ახალგაზრდა ლინგვისტი იოსებ ჰეიშვილი, რომელმაც მრავალი სისტორიო ცნობები და მასალები ჩამოიტანა სპარსეთში მოსახლე ქართველების შესახებ. ჰეიშვილს ამ ჟამად წესრიგში მოჰყავს თავის მასალები და ვრცელ შრომას ამზადებს.

◆ **მხატვრული კაბარე.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ გაზეთ „საქართველოს“ ფონდის სასარგებლოდ ხვალ საჩაიე „ძმურ ნუგეშში“ გაიმართება მხატვრული კაბარე მრავალ მხრივი და საინტერესო პროგრამით. მართველობის ნებართვით კაბარე გაგრძელდება ღამის სამს საათამდე.

◆ **ტელეგრაფის შეწყვეტა ბაქოსთან.** მავთულის გაფუჭების გამო თბილის-ბაქოს შუა ტელეგრაფის მოქმედება 21 იანვრიდან შეწყვეტილია.

◆ **კონტრიბუცია ონის ხომხებს.** როგორც გავიგეთ მობილიზაციით მოკრებილ ფრონტზე მიმავალ ჯარმა, ონის სომხობას 25,000 კონტრიბუცია დაადვა. მიღებულია ზომები, ინიციატორთა შესაპყრობლად.

◆ **ეროვნული დროშა.** კულტურისა და შრომის კავშირი გვთხოვს გამოვაცხადოთ, იმათ საყურადღებოთ ვისაც ეროვნული დროშების დაკვეთა სურს, რომ დროშები ორი ხარისხისა მზადდებიან, 1. შეღებილი ნარმისა და 2. აბრეშუმისა, ორ არშინიანი დროშა აბრეშუმისა ღირს 250 მან. ნარმისა კი 80 მან. ტარი სტილიანი 12 მან. სახელმწიფო დაწესებულებათა დროშა ტარით, მარტო დროშის ფასში დაეთმობათ.

◆ **თანამდებობაზე დანიშვნა.** იუსტიციის სამინისტროს უფროს იურისკონსულტად ამავე სამინისტროს იურის-კონსულტი კ. ა. დემიდოვი დაინიშნა. ამავე სამინისტროს იურისკონსულტად კი თბილისის საოლქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ნ. კ. პაცევიჩი.

— სამინისტროს მეორე განყოფილების კანცელარიის უფროსად დ. ი. წითლანიძე დაინიშნა.

◆ **თბილისის მილიციის უფროსი.** თბილისის მილიციის უფროსად ურუშაძის მაგივრად, ქუთაისის მილიციის ყოფილი უფროსი სულაქველიძე დაინიშნა.

◆ **წერილები უკრაინიდან** გარეშე საქმეთა სამინისტრომ კიევიდან კერძო პირთა წერილები მიიღო. წერილების კუთვნილების გაგება და მათი მიღება შეიძლება ხსენებულ სამინისტროს კანცელარიაში.

◆ **ნეიტრალურ ზონაში.** სანაინიდან გზათა სამინისტროს რწმუნებულ ღვამიჩავა იტყობინება რომ 20 იანვრიდან მოქმედება გაიხსნა სადგურ ახტალამ, სანაინმა აირუმმა ალავერდმა და კაბერმა. სადგური ახპატი დროებით დაიხურა უსაჭიროების გამო.

◆ **საარჩევნო ცენტრალურ კომისიაში.** დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიდა ბორჩალოს მუსულმანთა კანდიდატთა სია. სია 15 კაცისაგან შესდგება.

◆ **შიმშილობა ნეიტრალურ ზონაში.** გზათა სამინისტროს ნეიტრალურ ზონაში რწმუნებული ღვამიჩავა ატყობინებს გზათა სამინისტროს რომ ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის მოსამსახურენი უპურობის გამო შიმშილს განიცდიან, სთხოვს პურის მიწოდება მოაწყონ.

◆ **სამხედრო წესების მოხსნა რკინის გზებზე** 23 იანვრიდან მთავრობის დადგენილებით, საქარ. რკინის გზებზე სამხედრო წესები მოიხსნა. გენერალ გუბერნატორის საქმეთა ლიკვიდაცია ხდება.

◆ **ნავთი ბაქოდან** ბაქოდან ნავთის გამოტანა კერძო პირებსაც შეუძლიანთ.

◆ **უცაბედი მკვლელობა** 24 იანვარს თავის სახლში, ართვინის შესახვევი № 1 ღ. ჟვანი უცაბედათ რევოლვერით თავისი მეუღლე მოჰკლა.

◆ **ხაზადი.** არამაანცის საავადმყოფოში გადამდებ სენით (ტიფით) ავადმყოფნი 1000 დეა. თავისუფალი ბინა კი აღარაა. ახალ ავადმყოფებს აღარ იღებენ. ავადმყოფებიდან 15 პროცენტი კვდება.

◆ **ნაციონალიზაცია.** საავადმყოფოს მოსალოდნელი გაეროვნება საავადმყოფოს სხვა ეროვნებათა მოსამსახურეთა შორის დიდ აღელვებას იწვევს.

◆ **ქურდობა.** ამ დღეებში ბოროტმოქმედებმა სავაჭრო სახლი „ნადეჟდა“ გაქურდეს. წაიღეს სხვადასხვა საქონელი 30,000 მან. დაიჭირეს ერთი მონაწილეთაგანი — ფაშილიანი, რომელსაც ყველა წაღებული საქონელი აღმოუჩნდა. ფაშილიანმა გაქცევა დააპირა, რომლის დროსაც იგი მძიმედ დასჭრეს.

◆ **ნავთი.** ბაქოდან მთარობის რწმუნებული ნ. ქარცივაძე დეპეშით იტყობინებს: დღეს, 21 იანვარს, ჩემის თავმჯდომარეობით შემდგარმა საუწყებათაშორისო თათბირმა გამოსთქვა ის აზრი, რომ კერძო პირებთ ბაქოდან საქართველოში ნავთის გაგზავნის უფლება ეძლევათ მხოლოდ საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს მიერ მიცემულ მოწმობებით. ნავთის შესყიდვა კი ბაქოში შეიძლება თავისუფლად, უმოწმობოთ.

◆ **ადერბეიჯანის გზათა მინისტრის დეპეშა.** გზათა მინისტრი ადერბეიჯანის რესპუბლიკისა მელიქ ასლანოვი დეპეშით იტყობინება ბაქოდან, რომ ბევრი მოსაზრებით საჭიროა სწრაფათ მომთავრდეს ყველა ხელშეკრულებანი ჩვენ და თქვენ რესპუბლიკათა შორის საერთაშორისო სარკინიგზო საკითხებზე, ამიტომ გთხოვთ გამოგზავნოთ ბაქოში თქვენი რწმუნებული. შეთანხმების აქტი გადაეცა ფიცხელაურს, როცა ის ბაქოში იყო.

◆ **კრება.** საქარ. უნივერსიტეტის საბ-მეტ. ფაკულ. სტუდენტთა საყურადღებოდ. შაბათს ლექციების შემდეგ მოხდება საბ-მეტ. ფაკულ. სტუდენტთა კრება. ამხანაგებს ვთხოვ კრებას აუცილებლად დაესწრონ.

◆ **დუშეთის მაზრის კომისარი.** ჩვენი გაზეთის 19 ნოემბერს მოთავსებული იყო ცნობა დუშეთის მაზრის კომისრის ბ. შელიას დათხოვნის შესახებ. ამ ცნობის გამო ბ. შელიავამ განაცხადა, რომ ის დროებით გადაყენებულია და არა დათხოვნილი ბოროტმოქმედებისათვის.

—

## მხატვრული ქრონიკა

**ჟურნალი „კურანტი.“** გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „კურანტი“ რუსულ ენაზე: ჟურნალში დაბეჭდილია ლექსები და კრიტიკული წერილები რუსების პოეტების. დაბეჭდილია აგრეთვე ტიციან ტაბიძის წერილი „ცისფერი ყანწებზე“ და პაოლო იაშვილის ნახატი სურათები: ვალერიან გაფრინდაშვილის და ტიციან ტაბიძის.

**„პოეტების გაზეთი“.** კვირას 2 თებერვალს თბილისში გამოვა პოეტების გაზეთი ქართულ ენაზე პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძის რედაქტორობით.

## პროვინციის ცხოვრება

### სიღნ ღი.

სიღნაღის ერობის გამგეობამ შეიმუშავა ხარჯთ-აღრიცვა საბეითლო განყოფილებაში, რომელიც 140.000 მანეთს უდრის.

მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები სიღნაღში დასრულდა.

### ო ნ .

ბრძოლის ველზე მიმავალ ჯარისკაცებს ონელ სომხებისთვის 25.000 მანეთის კონტრიბუცია დაუდვიათ.

### სოჭა.

სოჭა, (საკუთარ კორესპოდენტისაგან). მემარჯვენე ელემენტები აქ ადგენენ ნაციონალურ საბჭოს. დემოკრატია არ მონაწილეობს. სოჭის ოლქის მოხალისეთა ჯარის მიერ დაჭერილი ადგილებიდან საქართველოს მთავრობის და ინგლისის მისიის სახელზე მოდის პეტიციები დაიცვან მცხოვრებნი მოხალისეთა ძალადობისაგან: სოჩის მუშათა კავშირმა გამოსთქვა აზრი დაიხუროს ყველა ნაციონალური საბჭოები.

ეკატერინოდარში ძლიერ გავრცელებულია ტიფი, ეპიდემიამ რამოდენიმე ათასი კაცი იმსხვერპლა. ფიქრობენ დაითხოვონ მოწაფენი და დახურონ გასართობი ადგილები. ეპიდემია გავრცელებულია ფრონტზე და სოფლებში. განსაკუთრებით ძლიერია სტავროპოლში- 35 ექიმისაგან 18 ავათაა ტიფით. სანიტარები გაიცვენ. ავანტყოფობა განსაკუთრებით მძვინვარებს ლაზარეთებში. სადაც დაჭერილი და ავათმყოფი ჯარისკაცებია მოთავსებული.

## ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსის მიმართვა.

„რადგან ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის გაგზავნა-ჩაბარებაში კიდევ ჰქონდა ადგილი ზოგიერთ უწესოებას, ხელმეორედ დაბეჯითებით ვსთხოვ ყველა კორესპონდენტს, ვინც გზავნის ან იღებს ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენციას, რომ ყოველ შემთხვევაში, როდესაც დაკარგავენ, დააგვიანებენ ან დაამახინჯებენ (დეპეშებს) მათს კორესპონდენციას, მომმართონ მე პირადად, წერილობით ან № 28 ტელეფონით ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში სავნად საქმის გამოძიებისა, დამნაშავის სასტიკად დასჯისა და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ამ არა ნორმალურ მოვლენათა სამუდამოდ აღკვეთისა.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსი მგელაძე.

## შალიკაშვილის გარდაცვალების გამო

— ქართული დრამატიული სტუდია ღრმა მწუხარებით აღნიშნავს ნიჭიერი მსახიობ-რეჟისორის, თავის ყოფილი მასწავლებლის ვალ. შალიკაშვილის გარდაცვალებას.

**დეპეშები.** 1. ვგლოვობთ ნიჭიერ მსახიობის დაკარგვას.

ბორჯომის სცენის მოყვარეთა მონდობილობით **ხუციშვილი.**

2. ჩვენს ისედაც ღარიბ სცენას კიდევ მოაკლდა ნიჭიერი დრამატურგი, დახელოვნებული მსახიობი და გამოცდილი რეჟისორი, რომლის დაკარგვას განუსაზღვრელი მწუხარებით ვგლოვობთ.

**სამტრედიის დრამ. წრის გამგეობა.**

## საქართველოს

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია თბილისის საქალაქო არჩევნებისათვის.**

1. ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე, პარლამენტის წევრი.
2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი.
3. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, პარლამენტის წევრი.
4. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, პარლამენტის წევრი. (უპარტიო).
5. ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე. პარლამენტის წევრი. (რადიკალ დემოკრატი).
6. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, ქალაქის ხმოსანი. (ბანკის დირექტორი).
7. წერეთლი ნიკოლოზ ესტატეს ძე, ქალაქის ხმოსანი.
8. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, მრეწველი.
9) ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, ქალაქის ხმოსანი.
10. ჯაბადარი ალექსანდრე გიორგის ძე, ვაჭართ. მრეწვ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. (უპარტიო).
11) ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე, აგრონომი, კომერსანტი. (რადიკალ დემოკ.).
12. გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
13. მეძმარიაშვილი კალისტრატე გიორგის ძე, კომერსანტი.
14. თელაკვაძე ნიკიტა დეკანოზი, საკათალიკოზო საბჭოს წევრი.
15. სულუხია მოსე ივლიანის ძე, ბანკის დირექტორი.
16. ძიძიშვილი ნოე სვიმონის ძე, ნაფიცი ვექილი.
17. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
18. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი.
19. ჟორდანია გიორგი თედორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
20. ვაჩნაძე ლევან ალექსანდრეს ძე, ყოფილი ხმოსანი.
21. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, ჟურნალისტი.
22. სიხარულიძე ნოე გლახუნის ძე, კომერსანტი.
23. მამრაძე პეტრე გრიგორის ძე, ინჟენერი.
24. კრაუზე ოსვალდ კარლოს ძე, ინჟინერი. (უპარტიო).
25. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი შიო ზაქარიას ძე), მწერალი. (რადიკალ დემ.).
26. ღამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე, ექიმი. (უპარტიო).
27. ზედგინიძე ივანე ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
28. ყიფიანისა ნინო ბეჟანის ასული, მწერალი.
29. გველესიანი იოსებ იოსების ძე, კომერსანტი.
30. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
31. კვირკელია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი.
32. ჯინჭარაძე გრიგოლ არხიპოს ძე, პროვიზორი.
33. მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე, ექიმი (უპარტიო).
34. დასამიძე ლევან ნიკოლოზის ძე. ინჟენერი.
35. ყავრიშვილისა ანნა ანტონის ასული.
36. ჯავახიშვილი იასონ (იურისტი).
37. ნასიძე ივანე აბრამის ძე, იურისტი.
38. ფორაქიშვილი სვიმონ ილარიონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).
39 ჟღენტი პლატონ, კომერსანტი.
40. ტაზიშვილი ირაკლი გრიგორის ძე, კოოპერატორი.
41. კავჟარაძე ივანე სერაფიონის ძე, მასწავლებელი (უპარტიო).
42. კეზერელი-კოპაძე ივანე ნიკოლოზის ძე, კომერსანტი.

43. კახიძე ტიტე ბენედიქტეს ძე, პედაგოგი.
44. ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სიმონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).
45. ლვთისავრიშვილი სვიმონ, ბუღალტერი (უპარტიო).
46. ზურაბიშვილი ვასილ გიორგის ძე, კომერსანტი. (რად. დემ.)
47. გაბუნია სილოვან, ნაფიცი ვექილი.
48. ჰინჰარაძე ნიკოლოზ, კომერსანტი.
49. ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე, პროვიზორი. (მწერალი).
50. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, აფთიაქის პატრონი.
51. ჯაიანი ბესარიონ, ბუღალტერი.
52. ჭყონია სვიმონ შერმადინის ძე, კომერსანტი.
53. გელოვანი სამსონ ჯანსუყის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
54. ჭრელაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე, კომერსანტი.
55. კანდელაკი გრიგორ ზახარის ძე, იურისტი.
56. აფხაზი ივანე დიმიტრის ძე, იურისტი. (უპარტიო).
57. ჩაჩიბაია გიორგი ზურაბის ძე, საოლქო სასამართლოს წევრი. (უპარტიო).
58. ყიფშიძე ივანე ანდრიას ძე, ინჟენერი. (უპარტიო).
59. ყიფიანი ვასილი გიორგის ძე, კომერსანტი.
60. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, ჟურნალისტი.

## გორის თვითმმართველობის ხმოსანთა კანდიდატების სია № 2

1. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, ქიმიკოსი, ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
2. ბებურიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, ვაჟთა გიმნაზის ინსპექტორი.
3. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, მაზრის ექიმი.
4. კაპანაძე გრიგოლ თეიმურაზის ძე, საურთიერთო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.
5. ერისთავი გრიგოლ ნიკოლოზის ძე, საურთიერთო ბანკის დირექტორი.
6. თურქისტანიშვილი გიორგი ზაქარიას ძე, ნოტარიუსი.
7. გვერდწითელი გაბრიელი ივანეს ძე, ექიმი.
8. კვალიაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე, ხარჯთ-ამკრები ინსპექტორი.
9. მგალობლიშვილი გიორგი ალექსანდრე ძე, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი.
10. ჩიკოიძე იოსები ქაიხოსროს ძე, სააქციზო უწყების უფროსი მოხელე.
11. მგალობლიშვილი ვარლამი მიხეილის მიხეილის ძე, სოფლის მეურნე.
12. უხურგანაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
13. წერეთელი სიმონი დიმიტრის ძე, ვაჭარი.
14. ხარატიშვილი ალექსი სოლომონის ძე, ვაჭარი.
15. მახარაშვილი დიმიტრი პავლეს ძე, ვაჭარი.
16. ნატროშვილი დურმიშხან იოველის ძე, სოფლის მეურნე.
17. კვალიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე, საურთიერთო ბანკის დირექტორი.
18. ევნატაშვილი იაკობ გიორგის ძე, სახლის პატრონი.
19. სალარიძე გრიგოლ ნიკონის ძე, გიმნაზიის მასწავლებელი.
20. ციციშვილი ილია ილარიონის ძე, სოფლის მეურნე.
19. კვალიაშვილი იულია რაჟდენის ასული, საზოგადოება „მანდილოსანის“ გამგეობის წევრი.
22. პაპიტაშვილი გრიგოლი ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.
23. ქიტიაშვილი იოსები დიმიტრის ძე, სოფლის მეურნე.
24. ციხეთათრიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე.
25. ფხაკაძე ივანე მიხეილის ძე, ვაჭარი.
26. ნანეიშვილი ვარდენი ოქროპირის ძე, მეშამული.
27. კვანჭახაძე შალვა ვასილის ძე, ოფიცერი.
28. ხიზანაშვილი ვლადიმერ ონისიმეს ძე, მასწავლებელი გიმნაზიისა.
29. კაპანაძე იოანე, დეკანოზი, საკრებულო ტაძრის წინამძღვარი.
30. კეზელი მარიამ გრიგოლის ასული, სამხედრო სამმართველოს მოხელე.
31. ცერცვაძე ონისიმე ზაქარიას ძე, გიმნაზიის მასწავლებელი.
32. კვალიაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე, ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.

## ქ. ზესტაფონის საქალაქო არჩევნები

**ზესტაფონის მცხოვრებნო! მიეცით ხმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის**

## სიას № 2.

1. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის გამგეობის წევრი და შორაპნის სამზრო ერობის ხმოსანი.
2. აბაშიძე გიორგი მინას ძე, ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი, მწერალი, ქალაქის საბჭოს და შორაპნის სამაზრო ერობის ხმოსანი.
3. იშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიების მასწავლებელი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
4. საყვარელიძე კლეონიკე ალექსანდრეს ძე, შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი და ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
5. ანთაძე კონსტანტინე დავითის ძე, მღვდელი, ზესტაფონის ქალ-ვაჟთა გიმნაზიების მასწავლებელი, მწერალი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. ნიორაძე ტრიფონ ანდრიას ძე, მრეწველი,—კომერსანტი, ზესტაფონის ქალ-ვათა გიმნაზიების სამზრუნველო საბჭოს წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
7. წერეთელი ალექსანდრე ზურაბის ძე, ქალაქის საბჭოს და შორაპნის სამაზრო ერობის ხმოსანი.
8. ორჯონიკიძე სიმონ გიორგის ძე, პედაგოგი.
9. წერეთელი ზურაბ გრიგორის ძე, (უპარტიო) ქალაქის ექიმი და საავადმყოფოს გამგე.
10. გოცაძე იორდანე მიხეილის ძე, ექიმი.
11. მამალაძე სამსონ პეტრეს ძე, კომერსანტი
12. გაჩეჩილაძე ვლადიმერ სამსონის ძე, ზესტაფონის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი.
13. მაჭავარიანი იონა, შორაპნის მაზრის აგრონომი.
14. ცქიტიშვილი პავლე სიმონის ძე, სასამართლოს მდივანი.
15. გაჩეჩილაძე სოლომონ სოფრომის ძე, კომერსანტი.
16. კვინიკაძე ერმილე ლაზარეს ძე, ზესტაფონის საურთიერთო ნდობის ბანკის დირექტორი.
17. კილენჯერიძე ლუკა ანტონის ძე პედაგოგი.
18. მახარაძე დავით ალექსის ძე, კომერსანტი.
19. ჟღენტი გრიგოლ ბეროს ძე, პედაგოგი.
20. კვანტრიშვილი სერგო ალექსის ძე, კომერსანტი.

## ჩვენი კანდიდატები ჭიათურის ქალაქის არჩევნებში

## ს ი ა № 4.

1) გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე. 2) გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე. 3) ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე. 4) გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე. 5) შავგულიძე ვარლამ ეფრემის ძე. 6) აბაშიძე ქიბო იოსების ძე. 7) დეკანოზიშვილი ერეკლე გრიგოლის ძე. 8) წერეთელი ნესტორ ზაქარიას ძე. 9) ვაშაძე ბესარიონ იაკობის ძე. 10) იაკობაშვილი ევგენი იოსების ძე. 11) ბაკურაძე ნიკო ქრისტეფორის ძე. 12) კუჭავა ვლადიმერ ეგნატეს ძე. 13) ლეჟავა ანგია პეტრეს ძე. 14) ფხალაძე მარკოზ იოსების ძე. 15) ფურცხვანიძე მიხეილ ბასილას ძე, 16) გოგოლაშვილი ანტონ მიხეილის ძე. 17) ჩიხელიძე სინო დიმიტრის ძე. 18) სანხარაძე გიორგი სიმონის ძე. 19) ვაშაძე ივანე ისიდორეს ძე. 20) ლეჟავა ნოშრევან ლუარსაბის ძე.

## ქართველო ამომრჩეველო!

**ეროვნული დემოკრატია სასტიკად ებრძვის სომეხი პლუტოკრატიის ბატონობას საქართველოში და ქალაქის თვითმართველობაში.**

**მიეცით ხმა მეორე ნომრის სიას.**

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**ბოლშევიკები და კოლჩაკი**

**სოფია**, 23 იანვარი. გაზეთებში მოთავსებულია დაჭერილ ბოლშევიკური რადიო, რომელიც იუწყება: რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრთა კონგრესმა მოწოდებით მიმართა სოც.-რევოლ. ორგანიზაციებს. მოწოდება საჭიროთ აღიარებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას. რუსეთის დემოკრატიის დამმონებელი გერმანელები დამარცხებული არიან. მოკავშირენი ჩვენს ბურჟუაზიას ეხმარებიან. კოლჩაკის მიერ ციმბირში მოხდენილმა გადატრიალებამ გააშუქა ეხლანდელი მდგომარეობა. საჭიროა ბოლშევიკებთან ერთად კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლა. მეორე რადიო იუწყება, რომ იანვრის პირველ რიცხვებში უფის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა დამფუძნებელ კრების წევრებთა ვილსკისთან, სვიტიცკისთან და შმელევთან.

**ყაზახების მობილიზაცია**

**ეკატერინოდარი**, 23 იანვარი. მთავარსარდალმა გამოაცხადა ყუბანის მხარის არა ყაზახთა მობილიზაცია. ჯარში გაიწვევენ 1910, 1911, 1912 და 1913 წ.წ. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია იანვრის 15. გამოაცხადა აგრეთვე ექიმების მობილიზაცია.

**ესენტუკის დაკავება.**

გენ. შკურას რაზმებმა იანვრის 16 ბრძოლით აიღეს ესენტუკი.

**ყაზახთა ყრილობა.**

დონის ატამანის განკარგულებით თებერვლის 1 ნოვოჩერკასკში მოწვეულია ყაზახთა ყრილობა. ნახიჩევანში ქალაქის არჩევნებს მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. დონის გაზეთების ცნობით ეკატერინოსლავის გუბერნიაში მეამბოხეთა მოძრაობა ძლიერდება. დონის ჯარმა იანვრის 16 სადგური სარეპტა დაიჭირა და ხელთ იგდო დიდი დავლა.

**უკრაინის ფული.**

**კიევი.** მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საკუთარი ფულის მოჭრის კანონი. 3 იანვარს შესწყვიტეს 1000—500 და 250 მანეთიან რუსულ ქაღალდის ფულის მიღება.

**სოჩა.** 22 იანვარი. სოც.-დემოკრატების და სოც.-რევოლიუციონერების თაოსნობით გაიმართა მრავალ რიცხოვანი მიტინგი 9 იავარს დახოცილთა ხსოვნის პატივისაცემათ. ბოლშევიკები ლაპარაკობდენ რუსეთის მუშათა მოძრაობაში სოც.-დემოკრატების და სოც.-რევოლიუციონერების სასახელ როლის შესახებ. მიტინგის შემდეგ ხალხმა რევოლიუციონური სიმღერით გაიარა ქუჩები.

## ფრანგული პრესა

იანვრის 22.

**მოკავშირეები რუსებზე.**

პრეზიდენტ ვილსონის წინადადების გამო მთავრობის თავმჯდომარეებმა შემდეგი წინადადება მიიღეს: ერთად ერთი მიზანი, რომელიც ქონდათ მოკავშირეთა წარმომადგენლებს რუსეთთან დამოკიდებულების განხილვის დროს, იყო რუსეთის ხალხის დახმარება და არა ხელის შეშლა და მათ შინაურ საქმეში ჩარევა. ისინი აღიარებენ, რომ რუსეთის ხალხს სრული უფლება აქვს საკუთარი საქმე თავის სურვილის თანახმათ მოაწყოს, რომ რუსეთის ექსპლოატაცია მოკავშირეთ არ სურთ, ცნობენ რევოლიუციას შეუზღუდავად და არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებიან კონტრევოლიუციონერებს.

მოკავშირენი არ დაეხმარებიან რუსეთში არც ერთ პარტიას, რომელნიც ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ ერთმანეთს ებრძვიან. მათი ერთად-ერთი და გულწრფელი სურვილია მისცენ რუსეთს ზავი და გამოიყვანონ ამ მძიმე მდგომარეობიდან, მოკავშირე სახელმწიფოებს სურს ჩამოაგდოს საერთო ზავი და ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთს რადგან ევროპაში შეუძლებელია ზავი და მშვიდობიანობა, სანამ რუსეთში არ იქნება სიმშვიდე. ამიტომ მოკავშირეთა სურვილია მიეხმარონ რუსეთს და იზრუნონ მისთვის და დახმარება გაუწიოს იმ ფორმით, რომელიც მისთვის მისაღები იქნება.

**ზავი უკრაინის და პოლონეთის**

კრაკოვიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთ-ინგლისის მისია გენ. ბარტელების ხელმძღვანელობით, რომელიც გენერალმა ფრანშე-დ-ესპერემ გაგზავნა მარშალ ფოშის ბრძანებით, კრაკოვში ჩამოვიდა. საფრანგეთ-ინგლისის მისია შეუერთდება ინგლისის მისიას, რომელსაც პოლკოვნიკი ვადი ხელმძღვანელობს. შეერთებული მისია კრაკოვიდან გაემგზავრება ლვოვში, რომ უკრაინელებსა და პოლონელებს შორის დროებითი ზავი ჩამოაგდოს საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებამდე.

**უკრაინის ულტიმატუმი რუსეთისადმი**

**ფოთი**, იანვრის 22. უკრაინის დირექტორიამ ნოტით მიმართა საბჭოთა მთავრობას და უკანასკნელათ მოსთხოვა 48 საათის განმავლობაში პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1) თანახმაა თუ არა რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა დაუყოვნებლივ შესწყვიტოს სამარი მოქმედება უკრაინის რესპუბლიკის წინააღმდეგ, 2) თუ თანახმაა დაუყოვნელივ გაყვანილ იქმნას უკრაინის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის. თავის მხრით უკრაინის დირექტორია მზათაა აწარმოვოს საზავო მოლაპარაკება რუსეთის წარმომადგენლებთან და შეუდგეს საქონლის გაცვლას რუსეთთან. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული პასუხი უკრაინის რესპუბლიკა ჩასთვლის ამ გარემოებას ოფიციალურ ომის გამოცხადებათ.

**საზღვაო კონფერენციის გადაწყვეტილება**

საზღვაო კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ ოფიციალურ ცნობების გარდა გაზეთებს ნება არ ექნება მოათავსონ ცნობები კონფერენციის მუშაობის შესახებ, რწმუნებულ წარმომადგენელთ კი ჩამოართვეს სიტყვა, რომ განხილულ საკითხების შესახებ არაფერს გამოაქვეყნებენ. საზავო კონგრესზე დასასწრებლად იქ იმყოფება ათასი ჟურნალისტი, მათში 500 ამერიკელია. ინგლისის და ამერიკის ჟურნალისტების პროტესტის გამო, საზავო კონფერენციამ წინადადება მისცა ჟურნალისტებს თვითონ გამოიმუშავონ და წარადგინონ იანვარის 17-ის სხდომაზე ზომები საზავო კონფერენციაზე მუშაობის საიდუმლოების დასაცავათ. ამის გამო შესდგა ჟურნალისტების კომისია რომელშიაც შევიდენ „რეიტერის სააგენტოს“ გაზ. “ტაიმსის“ და ქრონიკ“-ის წარმომადგენელნი.

## საქართველოს პარლამენტში.

**(სამშაბათი იანვრის 21).**

(გაგრძელება)

**გ. გვაზავას სიტყვა.**

ბატონებო! სოციალისტები ჩვენ გვპირდებიან სამოთხეს, მაგრამ მათი სამოთხიდან, როგორც საიქიოდან, უკან დაბრუნებული კაცი არავის უნახავს და არავინ იცის, იქნება თუ არა როდისმე განხორციელებული ეს სამოთხე. ამბობენ, სოციალიზმი ფანტაზია კი არ არის, იგი ვითომდა აშენებულია მეცნიერებაზე. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ მეცნიერებას ჯერ არ შეუძლიან ხელოვნურად შექმნას ერთა ვაშლი ან ერთი სისხლის წვეთი. მეცნიერებას შეუძლიან მათემატიკურის სისწორით მოგცეთ ფორმა იმ ელემენტებისა, რომლისაგანაც შესდგება ვაშლი ან სისხლის წვეთი, მაგრამ ამ ფორმულის შემწეობით თქვენ ვერ შექმნით ვერც ვაშლს, ვერც სისხლის წვეთსა. სჩანს, რომ ცხოვრება უფრო ღრმაა, უფრო ვრცელი და მიუწვდენი, ვიდრე მეცნიერული ფორმულები. ამიტომ, როცა სოციალისტები ამბობენ—დავანგრიოთ ყოველი ეხლა არსებული ეკონომიური ურთიერთობა და მერე ჩვენ დაგიარსებთ სამოთხესაო, ჩვენ ამისთანა მოწოდებას უკან ვერ მივყვებით და ეხლანდელი ეკონომიური ურთიერთობას ვერ დავანგრევთ. ეს იქნებოდა სრული ანარქია და თვალდახუჭულად გადავარდნა ისეთ უფსკრულში, საიდანაც უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იქნება. ამიტომ ჩვენ უარს ვყოფთ სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალისტ-რევოლიუციონერების ფანტასტიურ სოციალიზაციას და კერძო საკუთრების გაუქმებას.

რაც შეეხება შემოტანილ კანონ-პროექტს, ჩვენ პრინციპიალურად თანახმანი ვართ მივიღოთ იგი. თუმცა სოციალ-დემოკრატებიც სოციალისტები არიან, მაგრამ შემოტანილ კანონ-პროექტს სოციალისტური არა აცხია-რა. ახალ-ზელანდიაში 1892 წ. გატარებული იყო აგრარული რეფორმა. აქაც მთავრობის სათავეში იდგა სოციალისტური სამინისტრო სედდონისა. მაგრამ რეფორმა კი მოხდა არ სოციალისტური, არამედ დემოკრატიული. თუ შემოტანილი კანონპროექტი აგებულია დემოკრატიზმის პრინციპზე, ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, მაგრამ ამ მხრივადაც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პრინციპიც კანონპროექტში სრულიად დაცული არ არის.

მე-3 მუხლის ძალით მიწა უნდა გადაეცეს უმიწაწყლო და მცირე მამულიან სოფლელებს. აშკარაა მაშ რომ მიწა არ მიეცემა ქალაქის მუშებს. ეს არ არის სამართლიანი. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქში მოგროვილია ბევრი სოფლელი, გადმოხვეწილი ჩვენი სოფლებიდან უმიწაწყლობის გამო. მუშები, ლაქიები, მეეზოვეები, მზარეულები და ბევრი სხვა შეიძლება სიამოვნებით დაუბრუნდებიან ისევე სოფელს, თუ რაიმე შეღავათი მიეცემათ. რატომ უნდა წავართვათ იმათ ეს უფლება?

კანონპროექტით არა მარტო ქალაქის მუშა, სოფლის მუშაც არაფერს მიიღებს, ვინაიდან მათი სურვილი და უფლება შეზღუდულია სოფლის საზოგადოების სურვილით. თუ სოფლის საზოგადოება მოისურვებს, მას ნება ეძლევა მათი ხვედრი მიწა თვითონ მიიზომოს საზოგადო საკუთრებად. აშკარაა, აქ უმიწაწყლო გლეხი ვერაფერს მიიღებს და სრულებით დამოკიდებულია სოფლის საზოგადოებაზე. აქაც დემოკრატიზმის პრინციპი არ არის დაცული.

შეიძლება სთქვან: ყველას რომ მივსცეთ ნება, მაშინ ყველა მოგვაწყდება და მიწა კი იმოდენა არ არის, რომ ყველა დავაკმაყოფილოთო. ერთი რომ მიწას ყველა კი არ მოითხოვს, ეს უსაფუძვლო შიშია; მერე—კანონში უნდა იყოს განსაზღვრული, რომ მიწა მიეცემა მხოლოდ იმას, ვისაც კი ნამდვილი სურვილი აქვს მიწის დამუშავებისა ამიტომ ახალ-ზელანდიის კანონში მიღებული იყო პირობა: ა) მიწის მყიდველს უნდა ჰქონდეს ან გაიჩინოს სახლკარი (განსაზღვრულ ვადაში) იქ, სადაც მიწა ეძლევა და ბ) განსაზღვრულ ვადაში უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება. თუ ამ ორ პირობას იგი არ აასრულებს, მიწა ისევ უკან ჩამოერთმევა. ამიტომ უფლება მიწის მიღებისა უნდა იყოს საყოველთაო, მხოლოდ ამ ორი პირობის შეტანით. მაშინ მიწა დაურიგდება მართლა მათ, ვისაც უნდა და სურვილი აქვს მუშაობისა.

გარდა ამისა, აქ ყველამ აღნიშნა, რომ უმიწაწყლო გლეხს ფული არა აქვს და ამიტომ, თუნდაც რომ უნდოდეს, ვერაფერს შეიძენსო. ეს მართალია. ამიტომ, როგორც ეს მიღებული იყო ახალ-ზელანდიაში, სასურველია კანონში მივიღოთ კიდე ეგრედ წოდებული „პირობითი გაყიდვა“. მაშინ მყიდველი ვალდებულია ნაწილობრივ გადაიხადოს საფასური ან 5-6 წლის განმავლობაში გადაიხადოს მხოლოდ პროცენტები (5 პროც.) საფასურია და მერე ერთბაშად გადაიხადოს დადებული საფასური.

რაც შეეხება საფასურს, ის უნდა იყოს ნამდვილი და სამართლიანი. სახელმწიფომ უნდა მიიღოს სრული ღირებულება ამ გადაცემულ მიწებისა. ჯარი, ადმინისტრაცია, სასამართლო, სკოლა და სხვა ამისთანები არის სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი და წარმოადგენენ საერთო, საყოველთაო ინტერესს; აქ დახარჯული ფული იქნება დახარჯული ყველასათვის, ყველასი სასარგებლოდ; ამიტომ არავის აქვს ნება შემცირებულ ფასებში გაჰყიდოს სახელმწიფო ქონება და ამით ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს, საყოველთაო ინტერესს.

მიუღებელია აგრეთვე ის მუხლები, სადაც მინისტრის უფლებაზეა ლაპარაკი. მიწათ-მოქმედების მინისტრსა უფლება ეძლევა კანონიც კი შესცვალოს ნორმის შესახებ, დანიშნოს მოსამსახურეები და დაუნიშნოს მათ ჯამაგირები და სხვა. სულ ეს იქნებოდა დაკანონება თვითნებობისა და ჩვენ არ შეგვიძლია ამისთანა უფლება მივანიჭოთ ერთს კაცს, ვინც გინდა იყოს იგი.

ნათქვამიდანა სჩანს, რომ კანონპროექტი იმ სახით, როგორც იგი წარმოდგენილია მიუღებელია, რადგანაც ვერ ახწევს სწორედ იმ მიზანს, რომელსაც ისახავს. ვიმეორებ, ჩვენ პრინციპიალურად კანონ-პროექტს ვეთანხმებით მაგრამ ხმის მიცემის დროს იძულებული ვიქნებით თავი შევიკავოთ, რადგანაც იმას სჭირია შემუშავება. უკეთესი იქნება დაუბრუნდეს ისევ კომისიას გასასწორებლად და შესამუშავებლად.

**რ. ჩიხლაძე** (ს.-დ.) ს.-ფედ. და ს. რ. არ უწევენ ანგარიშს იმ ფაქტს, რომ

# საარჩევნო მუშაობა

**ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიის № საქართველოს დამფუძნებელ კრების და ქალაქ თბილისის არჩევნებში არის**

# № 2

**პარტიული ორგანიზაციები უნდა შეეცადონ, რომ ყველგან, საქალაქო არჩევნებშიაც, ჩვენი პარტია ამ №-ით გამოვიდეს.**

## პარტიულ ორგანიზაციებს

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთაც კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კომპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

## ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტისგან

**ქუთაისის საგუბერნიო, სამაზრო და ყველა სარაიონო კომიტეტებს.**

ყველა საარჩევნო კომისიებში და საარჩევნო ყუთებთან აუცილებლად უნდა იყვენ ჩვენი პარტიის წარმომადგენელნი. ბოროტ მოქმედებათა ასაცილებლად, საარჩევნო ყუთები ჩვენი პარტიის ბეჭდითაც უნდა დაიბეჭდოს.

## პარტიის წევრთა და თანამგრძნობთ

ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სთხოვს ყოველ პარტიის წევრს და თანამგრძნობს, რომელნიც მიემგზავრებიან პროვინციაში, წასვლის წინ შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტის ბინაზედ, სასახლის ქუჩა 5. და იკისრონ სხვა და სხვა საჭირო და საჩქარო დავალება საარჩევნო კომიტეტისაგან.

კომიტეტი ესეთივე თხოვნით მიმართავს იმ პირთაც, რომელნიც პროვინციიდან ბრუნდებიან აცნობონ კომიტეტში, ან რომელიმე კომიტეტის წევრს მდგომარეობა იმ მხარისა, საიდანაც ზემოხსენებული პირი მობრძანდება.

## პარტიულ ახალგაზდობას!

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზედ არის დამყარებული.

ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

თბილისში მყოფნი უნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზედ, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

## საარჩევნო კრება გორში

კვირას 26 იანვარს ქ. გორში გაიმართება ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კრება.

მომხსენებელნი არიან პარლამენტის წევრი! ბ. ბ. შ. ამირეჯიბი და ალექს. ასათიანი.

## მიტინგი

**კვირას, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბში გაიმართება ერ.-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების და უპარტიოთა მიტინგი ქალაქის არჩევნების შესახებ. სიტყვებს წარმოსთქვამენ: გვაზავა გიორგი, ასათიანი ალექსანდრე, გოთუა პართენი და სხვანი.**

**დღეს 25 იანვარს საღამოს 6 საათზედ სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კრება.**

**მომხსენებელნი არიან: გ. გვაზავა, პ. გოთუა და ლ. ჯაფარიძე.**

## საარჩევნო კრება გორში.

კვირას, ქ. გორში გაიმართება საარჩევნო კრება. სიტყვას წარმოსთქვამენ პარლამენტის წევრნი ალ. ასათიანი და შალვა ამირეჯიბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს გლეხობას ჰსურს კერძო საკუთრებად გადაეცეს მას მიწა. მე პირადად დავრწმუნდი ქართლში, კახეთში კრებებზე, ყრილობებზე თუ პირად საუბრის დროს, რომ გლეხი კერძო საკუთრების მომხრეა. ჩვენი კანონპროექტიც იცავს მის ინტერესებს და ამიტომ ის ჩვენკენ იცქირება.

ს.-დემ. შემოაქვთ წინადადება კამათი შესწყდეს. რადგან ამის წინაალმდეგია 16 წევრი, კამათი გრძელდება.

**შ. ქორუმიძე** (დამოუკ. ნ.-დ.) აღნიშნავს, რომ სო.-დემ. აგრარულმა რეფორმამ დაანგრია ქართული მეურნეობა, ორატორი წინააღმდეგია წარმოდგენილი კანონ-პროექტისა.

მიწათ მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მე სიტყვა ავიღე იმისთვის რომ ქარუმიძის გაბედულ მტკიცებას, აგრარულმა რეფორმამ დაანგრია მეურნეობა—მინდა დაუპირისპირო ციფრები. თქვენ ლაპარაკობთ კერძო მემამულეთა დამსახურებაზე. ეს არ არის მართალი კულტურული მამული არის სულ 70; ამაში ქართველებს აქვთ 16 დანარჩენი მამულები კი, თქვენ რომ კულტურულს ეძახით, არაფრით განირჩევა ჩვეულებრივ გლეხის მამულისაგან. კიდევ მეტი: ეს მამული გლეხს უფრო მეტს შემოსავალსაც აძლევდა, ვიდრე მემამულეს ეს ადვილი ასახსნელიცაა: როდის იყო, რომ ჩვენი მემამულე მეურნეობას ეწეოდა. გორის მაზრაში გვერდწითელს ჰქონდა 170 დესიატინა სარწყავი ადგილი, გ. ამილახვარს—147 დეს., აგრეთვე სარწყავი; ეს მიწები გლეხებს ჰქონდათ აღებული იჯარით; იაკობ ჯავახიშვილს—167 დეს. ესეც იჯარით ჰქონდათ გლეხებს აღებული. ასევე იყო მამულები თელავის მაზრაში. უმცირესი მამული შეიცავს 19 დესიატინას. ყველა მიწაზე გლეხები მუშაობენ. ბორჩალოში მანთაშევს ჰქონდა 1998 დეს. ამილახვარს—1372 დეს. არც ერთი მათგანი საკუთარ მეურნეობას არ ეწევა. ასე რომ, თქვენ რომ გამოდიხართ და ამბობთ—რევოლიუციამ დაანგრია მემამულეების მეურნეობა—ეს არ არის მართალი. მემამულეებს არაფერი არ შეუქმნიათ, მძიმე ტვირთად ეწვენ ჩვენს გლეხ-კაცობას და მხოლოდ ერთი რომ შესწევდათ: რაც შეიძლება მეტი ღალა აეღოთ (ტაში ს.-დ. სკამებზე).

ს.-დ. წინადადებით ორატორთა სია იხურება და მათ ლაპარაკის დროს 10 წუთით არის შეზღუდვილი.

კრება იხურება 4 ს. 15 წ. და შემდეგ სხდომა ინიშნება მეორე დღისათვის (ოთხშაბათისათვის).

**(ოთხშაბათი იანვრის 2:)**

თავმჯდომარეობს **ე. თაყაიშვილი.**

კრება იხსნება ნაშუადღევის 1 საათზე გრძელდება კამათი აგრარული კანონ-პროექტის გარშემო. ორატორთა სიტყვა შეზღუდულია 10 წუთით.

სიტყვა ეკუთვნის მ. მაჩაბელს, ის მოითხოვს, რომ მიეცეს სალაპარაკოდ ერთი საათი—ათ წამში ვერაფერს ვიტყვით, მისი თხოვნა შეუწყნარებელი რჩება.

**მ. მაჩაბელი** (დამოუკ. ნ.-დ.) კანონპროექტს ის უწოდებს არა უსახლკარო გლეხისათვის მიწის გადაცემას; არამედ ნადავლის გაყოფას, ეს კანონ-პროექტი კიდევ მეტს ანარქიას დაჰბადებს, ვიდრე მარტის 7-ის კანონი, და თუ აქამდე დაირღვა თავად-აზნაურთა მეურნეობა, ამიერიდან დაიწყება რღვევა და დაშლა გლეხური მეურნეობისა აი—ასრულებს სიტყვას ორატორი—ამათი (**ხმები:** ვისი ამათი?) აი ამათი (უთითებს ს.-ფედ. და ს.-რევ.) კანონ-პროექტი სჯობს, ვიდრე თქვენი (ს.-დემოკრატების). რომ დაღუპვაა საქართველოსი ამათი სოციალიზაცია, მაგრამ იმაში მეტი აზრი გახლავს.

წინადადება შემოაქვთ სოც.-დემოკრატებს კამათი შესწყდეს, წინადადება მიღებულია.

მოხსენებული **კ. ნინიძე** სრულს ერთს საათს ეკამათება კანონ-პროექტის მოწინააღმდეგებს და იცავს კანონპროექტს.

ამ გვარად კამათი მოსპობილია და თავმჯდომარე კენჭს უყრის, თუ რომელი კანონპროექტის (კომისიის, ს.-ფედერალისტების თუ ს.-რევოლ.) მუხლობრივ განხილვას შეუდგეს პარლამენტი. ს.-ფედ. და ს.-რევ. პროექტები უარყოფილია და იწყება მუხლობრივი განხილვა კომისიის კანონპროექტისა.

ვიდრე მუხლობრივი განხილვა დაიწყებოდეს სოც.-დემ. წინადადება შემოაქვთ ორატორთა სიტყვა მუხლობრივი განხილვის დროს 10 წამით შეიზღუდოს.

**ხ. დადიანი.** (ს.-ფედ.) ბატონებო! არსად გაგონილა წინდაწინვე, როდესაც ჯერ კიდევ არ დაწყებულა კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა, გილიოტინა დაუდგათ აქ ორატორს. ეს ყოვლად მიუღებელია და ჩვენ ამ წინადადების წინააღმდეგი ვართ.

**რ. არსენიძე.** (ს.-დ.) ეს წინადადება იმისთვის შემოვიტანეთ, რომ ბოლო მოუღოთ. აქ წიგნების კითხვას ორატორებისთვის სავსებით საკმარისია 10 წამი, რათა მუხლებზე ილაპარაკონ.

წინადადება მიღებულია და ამ რიგად ორატორთა სიტყვა ს.-დემ. წინადადებით 10 წამით არის შეზღუდული.

### კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა

მომხსენებელი **კ. ნინიძე** ჰკითხულობს პირველ მუხლს: „სახელმწიფოს ფონდიდან მიეცეს გლეხებს მიწა კერძო საკუთრება“-დ.

სოც.-დემოკრატების წინადადებით ორატორთა სია ამ თავითვე დახურულია.

**მ. მაჩაბელი.** (დამ. ნ.-დ.) ათ წამში მე ვერაფერს ვიტყვი და ვაცხადებ პროტესტს, რომ თქვენ, მენშევიკები სცდილობთ ასე იოლად მიიღოთ ის კანონპროექტი, რომელიც ძირს უთხრის ჩვენს მეურნეობას და გლეხობას.

**ლ. შენგელაია** (ს. რ.). აცხადებს, რომ ფრაქცია მონაწილეობას არ მიიღებს იმ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაში, რომელიც ღალატია ყოველგვარ დემოკრატიზმისა და სოციალიზმისა.

**ხ. დადიანი** (ს.-ფ.).

თუმცა დროის შეზღუდვით ჩვენ საშუალება მოგვისპეთ ფართოდ გადაგვეშალა პარლამენტის წინაშე ამ კანონ-პროექტის მიუღებლობა, მისი უვარგისობა და მეორე მხრით დაგვესურათებინა ჩვენ მიერ წარმოდგენილი საფუძველნი, რომელზედაც უნდა აშენდეს მიწის კანონ-პროექტი, მაგრამ ჩვენ საქმე იმით გაგვიადვილდა, რომ მომხსენებელი ბ. ნინიძე უკვე გამოტყდა დანაშაულში. ჩვენ ბრალსა ვსდებთ ამ კანონ-პროექტის შემდგენელთ და მაშასადამე სოციალ-დემოკრატებს იმაში, რომ ეს მათი კანონი მიუღებელია სოციალისტური თვალსაზრისით, მიუღებელია იგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის თვალსაზრისით იგი დასცემს და დიდი ხნით შეაფერხებს ჩვენში მეურნეობის განვითარებას; ეს კანონი არ იცავს მიწის მუშათა ინტერესებს. ყოველივე ეს აქ სწორედ სოციალ-დემოკრატებისვე ნაწერებიდან, მეცნიერული კვლევაძიების დებულებებით ცხად ვყავით და ვერც ერთი ჩვენი პრინციპიალური მოსაზრება, ვერც ერთი ციტატა, ადგილები სოციალ-დემოკრატების მწერალთა წიგნებიდან სოციალ-დემოკრატებმა ვერ დაარღვიეს.

მათ მხოლოდ ის შესძლეს, რომ ხელი აიღეს თითქმის მთელს მარქსისტულს მწერლობაზე. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი საბუთები დაერღვიათ ისინი გვისაყვედურებენ ლექციებს ნუ გვიკითხავთო, თითქოს პარლამენტი მართლადაც მარტო სამიტინგო ასპარეზი იყოს.

სოციალ-დემოკრატები აქ სასტიკად დაამარცხეს ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა—ეროვნულ დემოკრატებმა. აქამდე ეროვნული დემოკრატები გვიკიჟინებდნენ დაგვცინოდნენ ჩვენ, სოციალისტებს: თქვენი თეორიები, პრინციპები და სოციალიზმი არ შეეფერება ცხოვრების სინამდვილესო. თქვენ, სოციალ-დემოკრატებმა უკვე დაჰყარეთ იარაღი და თითონვე აღიარებთ, რომ ეს კანონპროექტი არ არის სოციალისტურს პრინციპებზე აშენებული, რომ თქვენი მასწავლებელთა აზრები არ შეეფერება ცხოვრების სინამდვილეს.

ჩვენ კი ჯერ კიდევ ვებრძვით ბურჟუაზიის იდეოლოგებს, წარმომადგენლებს და ვუმტკიცებთ მათ, რომ სოციალიზმი და ცხოვრება სწორედ ერთმანეთზეა გადაბმული, რომ სოციალიზმი ცხოვრების ნაკარნახევია და ცხოვრებაც უნდა ვაშენოთ ჩვენ ამ სოციალისტური პრინციპების მიხედვით. თქვენ შეიმუშავეთ ეს კანონპროექტი იმის შიშით, რომ ვაი თუ ხალხმა სხვა პროექტი არ მიიღოსო და ანგარიშს იმას კი აღარ უწევთ, არის თუ არა იგი სასარგებლო ხალხისათვის, მისი ინტერესებისათვის.

აქ მომხსენებელმა ბრძანა: ხალხი გვეტყვის, თქვენ მილიციასაც ვერ მეთაურობთ, იმისაც ვერ მოუარეთ, რაც გაბარიათო და სხ. ეს მართლაც იქნება ბატონებო, თქვენ, რომ სათანადოდ ვერ მოუარეთ იმ მიწებს, რომელნიც თქვენს ხელშია, ამის ერთი მაგალითი უკვე იყო აღნიშნული ჩვენს პრესაში.

თუ კახეთის მამულში (უდელში) რამდენი ზარალი ნახა ხაზინამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა მიწათმოქმედების სამინისტრომ თავი ვერ გაართვა საქმეს და უთავბოლო და სასაცილო წესის საჯარო ვაჭრობა მოახდინა. რომ ვერ უვლით თქვენ ქონებას ეს იქიდანაც სჩანს, რომ უმდიდრესი ტყეები სამეგრელოში, რამდენიმე ათი-ათასი დესეტინა, რომელიც წინად დადიანებს ეკუთვნოდა, დღეს ისე უპატრონოდაა მიგდებული, რომ მთელი თვენახევარია იწვის და ნადგურდება. დიახ, თქვენ ვერ უვლით და ვერ მოუვლით ბევრს რასმე, მაგრამ ეს რა საბუთია ამ კანონპროექტის გასამართლებლად?! აქ განაცხადეს რომ ნოე ჟორდანიას ვითომ არ დაუცავს სოციალიზაციის პრინციპი. ბატონებო, გუშინ რომ მე თქვენ მსხვილი წიგნი გიჩვენეთ, ის ნოე ჟორდანიის რჩეული ნაწერები იყო და იქ 534 გვერდზეა წერილი „მიწების ყიდვის შესახებ“ და აი იქ ნოე ჟორდანია იცავდა მიწის „საერთო მფლობელობას“ და „საერთო წარმოებას“, მაშასადამე თქვენ ამ თქვენს გუშინდელს სიტყვებზედაც უარს ამბობთ, უარყოფთ, თქვენ დიდს რყევაში ხართ ამ კანონპროექტში. ერთი მხრით იცავთ კერძო საკუთრებას, მაგრამ მეორე მხრით შემოგაქვთ პრინციპი კოლექტიურიც. თქვენ ცოტათი მორცხვობთ, თუმცა მომხსენებელმა განაცხადა: „ჩვენ არაფრის არა გვრცხვენიაო“, მაგრამ მაინც რცხვენიათ და ეს ამ კანონპროექტის სათაურსაც ეტყობა. აქ სწერია: „კერძო საკუთრებათ მიცემისაო“. მიცემის ნაცვლად უნდა სწეროს „მიყიდვისა“, რადგანაც მთავრობა უფასოდ კი არ აძლევს, არამედ ფულს ახდევინებს, ყიდის. პირველს მუხლშიაც ასე უნდა იყოს „მამულები მიეყიდება“ და არა მიეცემა, რადგანაც მეჩვიდმეტე მუხლში მიყიდვაზეა უკვე ლაპარაკი და აქედან შემოსული თანხის განაწილებაზე. სხვა და სხვა ხარჯებისთვის. პირველი მუხლი ეწინააღმდეგება მეცხრამეტე მუხლს, ვინაიდან პირველი მუხლი ვითომდა იცავს კერძო საკუთრებას აცლის ისეთს უფლებას, ურომლისოდაც კერძო საკუთრება თითქმის არც კი არის. მოგეხსენებათ, რომ საკუთრება შესდგება სამი უფლებისაგან: უფლება განკარგულებისა, მფლობელობისა და სარგებლობისა. სადაც ეს სამივე უფლება არ არის იქ კერძო საკუთრებაც არ არის და თქვენი კანონის მეცხრამეტე მუხლი უსპობს მესაკუთრეს თავისუფალ განკარგულების უფლებას. ამ მუხლის ძალით „სამაზრო ერობას ეძლევა უპირატესობა ყოველგვარს შემთხვევაში“ „ნადელი“ თითონ იყიდოს, თუ მესაკუთრე მის გაყიდვას მოინდომებს და მესაკუთრეს გაყიდვაც არ შეუძლია, თუ ერობა უარს არ იტყვის მიწის ყიდვაზე. ამნაირად თქვენ ამ მუხლით სპობთ თმის, რასაც პირველს მუხლში ხალხს ჰპირდებით მეშვიდე მუხლით თქვენ „ნადელს“ ნორმებზე ლაპარაკობთ, კანონპროექტში არა სჩანს, თქვენ ნორმაზე მეტი მიწის ყიდვის უფლებას იძლევით თუ არა. თუ არ იძლევით, ესეც ხომ შეზღუდვაა ყიდვა-გაყიდვის უფლებისა და მაშასადამე ესეც ეწინააღმდეგება პირველს მუხლს არ ამართლებს თქვენს დაპირებას კერძო საკუთრებას ვიცავთო. თქვენ ფარულად, შეუმჩნევლად აქარწყლებთ პირველი მუხლის დაპირებას და ამიტომაც სრულიად სამართლიანად უწოდა თედო ღლონტმა ამ კანონს დომხალი. აქ ყველაფერია. კერძო საკუთრებაც და საერთო საკუთრებაც, მაგრამ ჩვენი მეურნეობის ინტერესები და მიწის მუშის ინტერესები კი არ არის.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** ჩვენ ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგი ვართ, მაგრამ როდესაც დღეს სოციალისტური წყობილების დასამყარებლად ნიადაგი არ არის გამზადებული, ჩვენ ვეგუებით არსებულ წყობილებას. ჩვენ მართლაც გადაცემის მომხრე ვართ და არა გაყიდვისა. გაყიდვა ნიშნავს მთლიანი ფასის აღებას და ჩვენ საფასურის მხოლოდ ნაწილს ვართმევთ, და რადგან გლეხს მიწა შეღავათიან ფასებში ეძლევა, ამიტომ მას აღკრძალული აქვს ამ მიწის გაყიდვა, რადგან სპეკულიაცია იქნებოდა მის მხრით შეღავათიან ფასებში ნაყიდ მიწის გაყიდვა, აქ არავითარ წინააღმდეგობა არ არის.

## შრომის ბირჟა

ამ ბოლო ხანებში შრომის ბირჟაში შემოდის მოთხოვნილებები მხოლოდ კერძო დამქირავებელთა. ისინი მეტად აუტანელ პირობებს აწოდებენ მუშებს. მაგალითად მეეზოვებს 100—150 მ. თვეში, მუშებს 15—17 მ. დღეში; ოჯახში მოსამსახურე ქალებს 30—40 მ. თვეში, და სხვ. შრომის ბირჟა იღებს რა მხედველობაში საბაზრო ფასებს არ ღებულობს ასეთ მოთხოვნილებებს, რაც იწვევს დამქირავებლებში მეტ უკმაყოფილებას. იმათი აზრით ბირჟამ აუცილებლად უნდა მიიღოს ასეთი მცირე ხელფასიანი მოთხოვნილებები. ვინაიდან ქალაქში ამ ჟამად უმუშევართა მეტად მნიშვნელოვანმა რიცხვმა მოიყარა თავი.

შრომის ბირჟა ვალდებულად სთვლის თავის თავს აცნობოს ყველა დამქირავებლებს, რომ მათი მოწოდებული ხელფასი მეტად მცირედია. ამ ხელფასით ყოვლად შეუძლებელია ისაზრდოვონ თავი ასეთ მძიმე აუტანელ ცხოვრების პირობებში, ასეთი ხელფასი მუშებს არ აძლევს საშუალებას დაიკმაყოფილონ თუნდ მცირედი მოთხოვნილებანი. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ კავშირის დადგენილ ფასებსაც მუშებისათვის. საბაზრო ფასებიც, რომელიც ძლიერ დიდი ჰგონიათ დამქირავებლებს, მცირედია ვიდრე ყოველდღიური სასაზდოო მინიმუმი. დამქირავებლების მითითება იმ ფაქტზე, რომ დღეს ქალაქში მეტად დიდი რიცხვია უმუშევართა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უმუშევრები უნდა დათანხმდენ მცირე ხელფასზე. შრომის ბირჟამ გამოცდილებით იცის, რომ მცირე ხელფასი არ არის სასარგებლო არა მარტო მუშებისთვის, არამედ დამქირავებელთათვის. უმუშევრები, რომელნიც იძულებული არიან დათანხმდენ მცირე ხელფასად, აგრძელებენ სამუშევრის ძებნას უმჯობეს პირობებში. როგორც კი ნახულობენ მაშინვე ტოვებენ ძველ ადგილს, ეს კი მეტად ვნებს საქმეს. დამქირავებელთათვის არ არის გამოსადეგი, მცირედი ხელფასი კიდევ იმ მხრივ, რომ რაც მეტად მცირეა ხელფასი და პირობები მეტად აუტანელია, იმდენად შრომის ნაყოფიერება ნაკლებია.

უწევს რა შრომის ბირჟა ყველა ზემოხსენებულ მიზეზს ანგარიშს. არ ღებულობს მცირე ხელფასიან მოთხოვნილებებს და არც აგებს პასუხს ასეთ პირობებში მომუშავე მუშების ნამუშევარს.

შრომის ბირჟის მიზანია არა მარტო სამუშაოს შოვნა უმუშევართათვის, არამედ ორივე მხარეს გააგებინოს მიზეზი მათ შორის უთანხმოებისა.

## რკინის გზის ხარჯები

გზათა სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას მოხსენება სახაზინო რკინის გზის მიერ 1918 წ. განმავლობაში გაღებულ ხარჯების აღრიცხვა დასამტკიცებლათ. როგორც ამ მოხსენებიდანა სჩანს ამ ჟამათ აუცილებლათ საჭიროა მიეცეს დეკემბრის ჯამაგირები მუშა მოსამსა[illegible]ნებს და გაუსწორონ ანგარიში მოიჯარადრეებსა და მიმწოდებლებს. სამინისტრო შუამდგომლობს ქვემოდ აღნიშნულ ხარჯების გასაღებათ კრედიტების გახსნისთვის: 1) საექსპლოატაციო კრედიტი 31267258 მანეთი; 2) ახალ სამუშაოთათვის 354968 მან., 3) ამა წლის 9 თებერვლიდან 3 მარტამდე სიძვირისა გამო კრედიტის მიხედვით მუშა-მოსამსახურეებისა და ხელოსანთა დასაკმაყოფილებლათ 11302922 მან.; 4) დამატებით სიძვირისა გამო ამა წლის 1 აგვისტოდან თითოეულ აგენტზე 240 მანეთის გასაცემათ 15302200 მან. სულ კი 58298358 მანეთი. ამას გარდა შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთათვის შეწევნის აღმოსაჩენათ დაიხარჯა 1918 წ. განმავლობაში 7326066 მან., რისთვისაც საქართველოს სახაზინო რკინის გზებს კრედიტი არ ჰქონია გახსნილი. ეს ხარჯი გაწეული იყო საექსპლოატაციო ხარჯთ-აღრიცხვიდან და ამიტომ სამინისტრო შუამდგომლობს გახსნილ იქმნას კრედიტი შტატ გარეშე დარჩენილთათვის შეწევნის აღმოსაჩენათ გაღებულ ხარჯების დასაფარავად 7326050 მან. მთლად კი სამინისტრო ღებულობს 65624398 მანეთს.

## შემოწირულება

**შემოწირულება ჯარისათვის**

ქართულ საქვ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო შემოწირულება ჯარისათვის შემდეგ პირებისაგან: სოფელ გლდანის წვრილ გამსესხებელ ამხანაგობისაგან 13 ფუფაიკა, განათლების სამხატვრო სახელოსნოს მოწაფეთა გამართულ წარმოდგენიდან 250 მან. დ. კ. ერისთავისაგან (ოზურგეთი) 100 მან. დიღმის ეკლესიისაგან 1000 მან. ქეთუშა ჩოლოყაშვილისაგან 23 მან. გ. ბ. კიკნაძისაგან 300 მან. ქვაშვეთის ეკლესიაში მლოცველთა შორის შეგროვილი 546 მან. 36 კაპ. ქვაშვეთის ეკლესიისაგან 5,000 მან. სულ დღევანდლამდე მიღებულია შემოწირულება 13.249 მან. 36 კაპ.

**ქარ. საქ. საზ-ის მთ. გამგეობა.**

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

## დამფუძნებელ კრების არჩევნები

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს, პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ.**

14, 15 და 16 თებერვალს მოხდება საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნები.

გევალებათ: დაჩქარებით გააცნოთ თქვენს რაიონში მცხოვრებ ხალხსა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

გაურკვიეთ ყველას, რომ ყოველი ქართველი მოვალეა შეგნებული მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

აუხსენით ხალხს თუ როგორი შედეგები მოყვება სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების სოციალისტური პარტიების ხელში დარჩენას, თუ რამდენათ სახიფათო იქნება ეს სასოფლო მეურნეობისათვის, ვაჭრობა-მრეწველობისათვის და საერთოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთი-ერთობისათვის.

აუხსენით ხალხს, რომ უკეთუ ქართველი ხალხი შეგნებულ მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, არ მისცემს ხმას სოციალისტურ პარტიებს და ამოირჩევს იმათ ვინც იცავს ერის უმრავლესობის ინტერესებს, დამფუძნებელი კრება ჩამოართმევს მთავრობას სოციალისტურ პარტიებს და ჩააბარებს იმათ, ვისაც ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარება შეუძლიანთ და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი აქვთ.

ყველა ქალაქების, მაზრებისა და სოფლის საზოგადოებათა საარჩევნო კომისიებში უნდა დაინიშნოს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. პარტიის სამაზრო კომიტეტებს ევალებათ სასწრაფოდ გამოარკვიონ, თუ რომელს სოფლებში დაიდგმება საარჩევნო ყუთები და თითეულს ყუთს თავისი წარმომადგენელი მიუჩინონ.

მათ უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი, რომ არ იყოს ძალდატანება—ადგილობრივს ადმინისტრაციას არ აქვს უფლება საარჩევნო პროპაგანდის და აგიტაციის წარმოების უფლება. ამას მოითხოვს კანონი და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ეს დაიცვას.

კანონი მოითხოვს აგრეთვე, რომ საარჩევნო კომისიებმა თვითონვე დაურიგონ ბიულეტენები ამომრჩეველთ, ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა და თანამოაზრეებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ თითეულს ამომრჩეველს მიუვიდეს ჩვენი ბიულეტენი. უკეთუ ამომრჩეველთ დაურიგდა სხვა პარტიების ბიულეტენები და ჩვენი პარტიის კი არა, ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა აღინიშნოს პროტოკოლით და ეცნობოს ადგილობრივ საარჩევნო კომისიას და აგრეთვე ჩვენი პარტიის მთავარ სარჩევნო კომიტეტს თბილისში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველივე ზომები საარჩევნო მუშაობის შესახებ დეპეშებით უნდა აცნობოს პარტიის მთავარ კომიტეტს თბილისში. პროვინციაში მიმავალ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთ ევალებათ წასვლის წინ შემოიარონ პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტში. (ყოფილი თავად-აზნაურობის ქარვასლა. „საქართველოს“ რედაქციისა და მთავარი კომიტეტის ბინა).

**ეროვ.-დემოკრ. პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი.**


# საქართველოს მამულიშვილნო!

## ახლოვდება არჩევნები

# დამფუძნებელ კრების და თბილ. თვითმართველობისა

ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

**ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.**

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

**ერთადერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ**

# თეატრი და ცხოვრება-ზე

წელიწადი **მეშვიდე** გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

5—101—1

# ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროცენტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპჲრებად: 5,000, 1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. და 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაიცა უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

**აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.**

**ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრათაც.**

**ვალდებულების შეძენა შეიძლება**

# მხოლოდ ნაღდ ფულად

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატივებში.

10—94—8


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 1